



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

№ 138

ქალაქი ქუთაისი 25 მაისი 2016 წელი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამა „კორპუსის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის № 62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამა „კორპუსის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №62 დადგენილებაში /www.matsne.gov.ge 26.12.2014. N190020020.35.123.016.272/, კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/დანართი №2 დადგენილებას
თან ერთვის/

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

პროგრამა „კორპუსით“ განსაზღვრული ღონისძიებების

თანადაფინანსების პროცენტული ოდენობა

N	ღონისძიების დასახელება	თანადაფინანსების წილი %	მერიის წილი %	ამხანაგობის წილი %
1.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, რომელიც გულისხმობს: ეზოს მოპირკეთებას ბეტონის, ასფალტო ბეტონისა და დაწნეხილი ფილების გამოყენებით (საჭიროების შემთხვევაში ღია ან დახურული სანიაღვრე არხების მოწყობა), მოთხოვნის შემთხვევაში ფანჯატურის, საბავშვო ატრაქციონის (მოედნით), საბაღე ძელსკამების, მცირე ზომის სანაგვე ურნებისა და მარტივი ტიპის ტრენაჟორების მოწყობას			
2.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია			
3.	სადარბაზოების შესასვლელებში რკინის, საკეტანი კარების მონტაჟი. სურვილის შემთხვევაში, აუცილებლობის დროს პანდუსების მოწყობა, სადარბაზოს კარებამდე მისასვლელი კიბეების რეაბილიტაცია, შესასვლელის გადახურვის კონსტრუქციის და ბაქანის რეაბილიტაცია, მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმა, სენსორული განათებების მოწყობა და სადარბაზოებში არსებული წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია	90/10	90	10
4.	საცხოვრებელი სახლებისათვის დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციების აღდგენა			
5.	პარაპეტების და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია			
6.	ატრაქციონების, ძელსკამების, მცირე მოცულობის სანაგვე ურნების შექმნა-მონტაჟი, დასასვენებელი ფანჯატურის მოწყობა ძელსკამებითა და მაგიდით და მარტივი ტიპის სტაციონარული ტურნიკეტის შექმნა-მონტაჟი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის	80/20	80	20

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი